ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-21

2010 წლის 19 მარტი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 იანვრის №-6 განკარგულებით დამტკიცებული „ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველი მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამაში ცვლილებების“ შეტანის შესახებ

„ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 იანვრის №-6 განკარგულებით დამტკიცებული „ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველი მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამაში“ შევიდეს ცვლილებები თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ჯ.ჯინჭარაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს.ტაკიძე

ქობულეთის გამგეობის მუნიციპალიტეტის

მიზნობრივი პროგრამა

2009 წელი
ზომის ერთეული 1 ლარი

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება: ყოველი მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი: “ 1 “ 01 “ 2009 წ
„31 „ 12 „ 2009 წ

3 პროგრამის (ქვეპროგრამის) ბიუჯეტი:.

22 800 (ოცდაორიათას რვაასი) ლარი

მ.შ. საანგარიშო წლის ბიუჯეტი: 22 800 ლარი

1 კვერტალი 5 700 ლარი; 2 კვარტალი 5 700 ლარ
3 კვარტალი 5 700 ლარი; 4 კვარტალი 5 700 ლარი

4. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსების წყაროები:

ა) ძირითადი– ადგილობრივი ბიუჯეტი 22 700 ლარი

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა (ქვეპროგრამა):

შენიშვნა:

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონდის გაჯანსაღებისათვის მიმართული აქციების განხორციელება მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისას ოჯახური მატერიალური დახმარების გაწევა. მე-3 შვილის დაბადებაზე 200 ლარი, მე-4 შვილის დაბადებაზე 250 ლარი, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებაზე 300 ლარი.

2008 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას მომართა 113 ოჯახმა, მ.შ. მე-3 85 ბავშვი, მე-4 16 ბავშვი, მე-5 მე-6 და ა.შ. 12 ბავშვი).

№	პროგრამის მიზნები
1.	პროგრამის მიზანია დახმარების გაწევა იმ ოჯახებისათვის, რომლებშიც დაიბადა მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილი, მათთვის მორალური მხარდაჭერა, სტიმულის მიცემა

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვ-ალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვის-ტო	შექტემ--ბერი	ოქტომ-ბერი	ნოემ-ბერი	დეკემ-ბერი
1	მოქალაქეების განცხადებების მიღება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	განცხადებების განხილვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

3	მოქალაქეებზე დახმარების გაცემა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება:

ა)დაფინანსების წყაროები:

საანგარიშო წელს 22 800 ლარი

1. ადგილობრივი ბიუჯეტი – 22 800ლარი

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში გასაწევი ხარჯები:

№	პროგრამით (ქვეპროგრამით) გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება(დეტალურად გაშიფრული)	ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი(ლარი)	ხარჯის წილი მიმდინარე ხარჯებიდან(%)
1.	მიმდინარე ხარჯები	22 800	100
1.1	კომუნალური	0	0
	სულ ხარჯები	22 800	100

9. პროგრამით (ქვეპროგრამით) გათვალისწინებული ხარჯების განაწილება თვეების მიხედვით:

ხარჯების დასახელება	იანვარი	თებერ-ვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემ-ბერი	ოქტომ-ბერი	ნოემ-ბერი	დეკემ-ბერი	სულ ჯამი
პროგრამის ხარჯები													

დახმარების გაცემა	1900	1900	1900	1900	1900	1900	1900	1900	1900	1900	1900	1900	22800
სულ ხარჯები	1900	1900	1900	1900	1900	1900	1900	1900	1900	1900	1900	1900	22800

10. პროგრამით (ქვეპროგრამით) მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია და რაოდენობა:

№	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	პროგრამით (ქვეპროგრამით) გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)
1	ყველა ოჯახს მესამე და მომდევნო ახალშობილზე	113	მე-3 შვილის დაბადებაზე 200 ლარი მე-4 შვილის დაბადებაზე 250 ლარი მე-5 და მეტი შვილის დაბადებაზე 300 ლარი
	სულ:	113	

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ბ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ყველა პირი, რომელიც გაუჩნდება მესამე და მომდევნო შვილი და მომართავს მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტს:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე
2. მშობლის პირადობის მოწმობის ასლი
3. ყველა ბავშვის დაბადების მოწმბის ასლი

დამატებითი ინფორმაცია:

გამგეობას უფლება აქვს ცალკეული კვარტალების მიხედვით არათანაბარი შესრულების შემთხვევაში რაიონის საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით გადაანაწილოს პროგრამის ბიუჯეტის კვარტალური გაყოფა.